პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

22 მარტი, კვირა, 1987 წ.
№ 57 (9468) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

# 23 მარტიდან



იწყება მოძრავი თამაშების საკავშირო კვირეული, რომლის დევიზია „თამაშებიდან — სპორტში!"

კვირეული ტარდება წინასწარ გათვალისწინებული პროგრამით, მაგრამ ადგილებზე ეს პროგრამა უნდა გამდიდრდეს ტრადიციული ხალხური თამაშებით. კვირეულში მონაწილეთა ასაკი განუსაზღვრელია. გათვალისწინებულია აგრეთვე თამაშებში მოზარდებისა და მოზრდილების ერთდროული მონაწილეობა.

# ყველაფერზე ალალად

ჩვენი გაზეთის 19 მარტის ნომერში განგაშის ზარს შემოვკარით, გამოვაქვეყნეთ წერილი იმის შესახებ, რომ ფეხბურთში საქართველოს პირველობის მატჩებზე კვლავ გრძელდება უდისციპლინობა და სხვა დარღვევები, რაც ჩრდილს აყენებს რესპუბლიკის ჩემპიონატს და საბოლოო ჯამში ზიანი მოაქვს ქართული ფეხბურთისათვის.
რედაქცია კვლავაც ასეთ შემტევ პოზიციას შეინარჩუნებს ჩვენს საფეხბურთო მინდვრებზე სრული წესრიგის დამყარებისათვის ბრძოლაში. ვაცხადებთ რა ამას, აქტიური მხარდაჭერის იმედიც გვაქვს. ამის თქმის უფლებას გვაძლევს რედაქციაში შემოსული წერილები. გუშინ რამდენიმე საგულისხმო წინადადება და მოსაზრება მოგვაწოდეს ხუთშაბათის ნომერში გამოქვეყნებულ კრიტიკულ წერილთან დაკავშირებით, ბევრი მკითხველი და ფეხბურთის გულშემატკივარი კატეგორიულად მოითხოვს გატარდეს უმკაცრესი ღონისძიებები, რათა თავხედები გონს მოეგონ და საქართველოს ჩემპიონატის მატჩები იქცეს ლამაზ სანახაობად, ნიჭიერ ფეხბურთელთა გამოვლენის ასპარეზად, პატიოსან და ვაჟკაცურ პაექრობად.
საგულისხმო წინადადებებს და მოსაზრებებს, რიგითი გულშემატკივრის პოზიციას გაზეთის ფურცლებზეც დავუთმობთ ადგილს. საზოგადოების სამსჯავროზე გამოვიტანთ ყველაფერს, რაც აწუხებს ქართული სპორტის გულშემატკივარს. არა მარტო საქართველოს ჩემპიონატზე, არამედ ჩვენი უმაღლესი ლიგის კოლექტივებზე, სხვა ლიგისა თუ სპორტის ცალკეულ სახეობებში რესპუბლიკის ნაკრები გუნდის ავ-კარგზეც ასევე პირუთვნელი და საჯარო საუბარი გვექნება. აქვე დავესესხებით რუსთაველ მშენებელს ავთანდილ სარალიძეს: აი, რას გვწერს იგი:
„პირთა მალვა არას გვარგებს, ყველაფერი თამამად ვთქვათ, იქნებ მკითხველი და გულშემატკივარი რაღაცაში შევცდეთ კიდეც, მაგრამ როცა სხვის აზრსაც გავეცნობით, მივხვდებით რაში ვართ მართალი და რაში არა. ბოლოს და ბოლოს კომპეტენტური პიროვნება და ორგანიზაცია გადაწყვეტს რა არის მისაღები და რა არა. ერთი სიტყვით, გირჩევთ მეტი დაწეროთ ხარვეზებზე. ქართულ სპორტს უნდა დავუბრუნოთ ძველი დიდება!".
ამ სიტყვებს ველარაფერს დავუმატებთ.

(მასალები ახალი რუბრიკით „±: ვეთანხმები, არ ვეთანხმები!" იხ. მე-3 გვერდზე).

ჩოგბურთი

# ლეილა მესხი და ნატალია ბიკოვა ფინალში ითამაშებენ

ჩოგბურთელ ქალთა ზამთრის საკავშირო ჩემპიონატზე გადამწყვეტი შეხვედრების დრო დადგა. მოსკოვში ცსკა-ს კორტებზე ინტერესით ადევნებენ თვალს უძლიერესთა გამოსვლებს.

წყვილთა ნახევარფინალურ შეხვედრებში კარგად გამოდიან თბილისელი ლეილა მესხი და მოსკოველი ნატალია ბიკოვა. ფინალის წინ ამ დუეტმა დაამარცხა მინსკელი ნატალია ზვერევასა და კიეველი ნატალია მედვედიევას წყვილი — 2:0. პირველი პარტია, ასე თუ ისე, დაძაბული ბრძოლით აღინიშნა. მესხმა და ბიკოვამ გაიმარჯვეს ანგარიშით 7:5. მეორე პარტიაში ამ წყვილის უპირატესობა აშკარა იყო — 6:1.

მეორე ნახევარფინალში ლვოველმა ლარისა სავჩენკომ და მოსკოველმა სვეტლანა პარხომენკომ მანიუკოვა — პოგორელოვას წყვილი დაამარცხა 7:5, 6:3. ამრიგად გადამწყვეტ მატჩში ერთმანეთს შეხვდებიან მესხი — ბიკოვა და სავჩენკო — პარხომენკო.

ერთეულების ფინალში ითამაშებენ 15 წლის ნატალია მედვედიევა და გამოცდილი ნატალია ბიკოვა. მედვედიევამ ნახევარფინალში ლარისა სავჩენკო დაამარცხა 6:3, 6:4, ბიკოვამ კი ნატალია ზვერევა — 4:6, 6:3, 6:2.

საქართველოს ჩემპიონატი სპორტულ ტანვარჯიშში



ა. ბერიანიძე.



ა. ლეონტიევა,

21 მარტს, თბილისში, გიორგი ეგნატაშვილის სახელობის განათლების სამინისტროს ოლიმპიური რეზერვის ტანვარჯიშული სპორტსკოლის დარბაზში დამთავრდა საქართველოს ჩემპიონატი სპორტულ ტანვარჯიშში (მრავალჭიდი).
რესპუბლიკის აბსოლუტური ჩემპიონის წოდება მოიპოვეს საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა ანაიდა ლეონტიევამ (69,8 ქულა) და სპორტის ოსტატმა ამირან ბერიანიძემ (99,625).
გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს თბილისელებმა.
(დაწვრილებითი ანგარიში იხილეთ „ლელოს" უახლოეს ნომერში).
ჯემალ კახრაძის ფოტო.

საქართველოს პირველობა ჭადრაკში ვაჟთა შორის

# შვიდი პრეტენდენტი

სამტრედია (ტელეფონით, „ლელოს" სპეციალური კორესპონდენტი). ერთი ტურიც და დასრულდება მოჭადრაკე ვაჟთა რესპუბლიკური ჩემპიონატის I ლიგის ტურნირი. უმაღლესი ლიგის ოთხი საგზურისთვის თავდაუზოგავად იბრძვიან მოჭადრაკეები. ბოლოსწინა, XIV ტურში ინტერესს იწვევდა შალამბერიძე — ჩაჩიბაიას შეხვედრა. მეტოქენი დაზავდნენ. ყაიმით დამთავრდა ხოფერია — მანაგაძისა და ნეჩაევ — ლობჟანიძის პარტიებიც. გოგიჩაიშვილმა სძლია გოგოლაძეს, ხეცურიანმა — ლექაევას, ტყებუჩავამ — ლეკვეიშვილს. პოპოვი დამარცხდა სიჭინავასთან, თეიმურაზიანი — ტაბატაძესთან.

14 ტურის შემდეგ ბესო ხეცურიანს, კახა შალამბერიძესა და დავით ჩაჩიბაიას 9,5-9,5 ქულა აქვთ, გიორგი გოგიჩაიშვილს, თამაზ ტაბატაძეს, ნუკრი მანაგაძესა და გოჩა ტყებუჩავას — 8,5-8,5.

ბეჟან ჩხაიძე,
შეჯიბრების მთავარი მსაჯი.



იყო და აღარ არის სტადიონი, ახლისთვის ადგილი გამოყვეს და ის ადგილიც სხვამ მიითვისა, მერე დაიგეგმა ახალი სპორტული კომპლექსის მშენებლობა და საამისოდ გამოყოფილი მიწის ნაკვეთიც მიიტაცეს. ყველაფერი ეს მცხეთის ტერიტორიაზე, ზაჰესში ხდება (მასალა იხილეთ მე-2 გვერდზე).



სსრ კავშირის ჩემპიონატი 50

გუშინ გაიმართა სსრ კავშირის 50-ე საფეხბურთო ჩემპიონატის III ტურის მატჩები.

ლანჩხუთის „გურია" ხარკოვში შეხვდა ადგილობრივ „მეტალისტს". თამაში დამთავრდა ფრედ — 0:0.

სხვა შეხვედრათა შედეგები:

„ქაირატი" — ცსკა 0:2

„ზენიტი" — „დინამო" მ. 0:1

„ჟალგირისი" — „დნეპრი" 0:0

„დინამო" მნ. — „შახტიორი" 0:0

დღეს მოსკოვში, „ტორპედოს" ლია სტადიონზე, საკავშირო ჩემპიონატის კალენდარულ მატჩში ერთმანეთს შეხვდებიან ადგილობრივი „ტორპედო" და თბილისის „დინამო". მატჩის რადიორეპორტაჟი დაიწყება 17 საათზე თბილისის დროით.

საბჭოთა კავშირის 24-ე ჩემპიონატი რეგბიში



გუშინ ალმა-ათის არმიელებისა და მოსკოვის „ლოკომოტივის" მატჩით დაიწყო საბჭოთა კავშირის XXIV ჩემპიონატი რეგბიში უმაღლესი ლიგის გუნდებს შორის. დღეს ასპარეზობაში ჩაებმება ჩვენი რესპუბლიკის სამი გუნდი: ქუთაისის „მშენებელი", თბილისის „ლოკომოტივი" და „შევარდენი". (იხ. მე-3 გვ.).

სსრ კავშირის ჩემპიონატი წყალბურთში

„ლელოს" სპეციალური კორესპონდენტი ავთანდილ გურასაშვილი ლვოვიდან ტელეფონით გვატყობინებს:

# ქუდმოხდილი წყალბურთელები

ლვოვის საწყლოსნო სპორტის სასახლე. „დინამო" (ლვოვი) — „დინამო" (თბილისი) 13:12 (3:3, 4:2, 4:4, 2:3).

„დინამო" (თბილისი): გიორგაძე, ზუმბულიძე, გვახარია, კუტივაძე, ნიკოლაიშვილი, კოღუაშვილი, კანდელაკი, გიორგაძე, ბაღათურია, მაჭავარიანი, რამიშვილი.

„დინამო" (ლვოვი): ვინიჩუკი, როუდესტვენსკი, ბერენდიუმა, სტარუხევი, პროკოპჩუკი, სმირნოვი, ხარინი, სიდოროვიჩი, ლომაკინი, ზატულოვსკი, პროკოპენკო.

წყალბურთში ასეა: თუ სპორტსმენი სათადარიგო სკამზე დაჯდება და ქუდს მოიხდის, ეს იმას ნიშნავს, რომ იგი სარბიელზე აღარ გამოვა. ლვოველ თანაკლუბელებთან შეხვედრის მესამე პერიოდის დაწყებისთანავე თბილისელთა სათადარიგო სკამზე ოთხი ქუდმოხდილი წყალბურთელი ჩამოჯდა. სამი მათგანი თბილისელთა ტრადიციული სასტარტო შვიდეულის წარმომადგენელი იყო, ერთი ის, ვისაც საკმაოდ ხშირად ძირითად შემადგენლობაში ვხედავთ ხოლმე.
ეს მატჩი მეტად მძიმე გამოდგა, თუმცა თბილისელები იოლს არც ელოდნენ. ლვოველთა გუნდის ოთხი წევრი საკავშირო ნაკრებშია მიწვეული. ამ შეხვედრამდე მესამე ადგილზე მყოფ თბილისელებს მხოლოდ 1 ქულით ჩამორჩებოდნენ მასპინძლები.

იხ. მე-4 გვ.

საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობაზე ითქვა: „უნდა მივაღწიოთ ფიზკულტურული მოძრაობის ნამდვილ მასობრიობას, რომ რესპუბლიკის თითოეული მცხოვრები და, უწინარეს ყოვლისა, ახალგაზრდობა აქტიურად მისდევდეს სპორტს, რაც დიდი სახელმწიფოებრივი და პატრიოტული საქმეა“.

ლახტის წრეში

# დაუჯერებელი ამბავი

**ანუ კიდევ ერთხელ იმის შესახებ, როგორ აღმოცენდება ხოლმე სპორტულ მოედნებზე ან სპორტული მოედნებისთვის გამოყოფილ ადგილზე სხვა ნაგებობები.**

რედაქციაში წერილი და ფოტობრალდება შემოვიდა. ერთადერთი სტადიონის გაუქმების სატკივარს იტყობინებოდნენ. ზაჰესში დღეს ათასობით ოჯახი ცხოვრობს, ძნელად დასაჯერებელია, მაგრამ ფაქტია, რომ ამ ვეებერთელა დაბაში, ამჟამად არც ერთი სპორტული მოედანი არ არის. არადა, იყო... ამაზე ქვემოთ. ამთავითვე კი იმას ვიტყვით, რომ ასობით ბავშვი ახლა ზაჰესიდან თბილისში დადის სავარჯიშოდ.

რა ხდება, რატომ არავინ აქცევს ყურადღებას მოსახლეობისა და მოზარდების ფიზკულტურითა და სპორტით დაინტერესებას? საქმე იმაშია, რომ დასახლებაში სხვადასხვა ობიექტის მშენებლობას შეეწირა რამდენიმე მინიფეხბურთისა და კალათბურთის მოედანი. ხოლო ერთადერთი საფეხბურთო სტადიონი, რომელიც ზაჰესის ცენტრში იყო, ახლა სამშენებლო პოლიგონადაა ქცეული. ეს სტადიონი ჯერ კიდევ ორმოცდაათიანი წლების დასაწყისში კომკავშირელებისა და სპორტის მესვეურთა თაოსნობით, კომუნისტური შაბათობის დღეებში მოეწყო. ეს შესანიშნავი სტადიონი თავისი მწვანე საფარით თითქმის ოცდათხუთმეტი წელი ემსახურებოდა ზაჰესელებს. იმართებოდა საინტერესო მატჩებიც, მაგრამ აი, ამ ოთხი წლის წინათ სპორტული ბაზის მეზობლად მდებარე „საქმთავარენერგოს“ მთავარი სარემონტო ქარხნის მაშინდელმა ხელმძღვანელობამ (ყოფილი უფროსი გ. კერკენჯია) პირდაპირ სტადიონის გვერდით ხაზთან დაიწყო ახალი ადმინისტრაციული კორპუსის მშენებლობა... ასე იქცა სტადიონი და მისი მიმდებარე ტერიტორია სამშენებლო პოლიგონად. მაშინვე ატეხეს განგაში ზაჰესელებმა სტადიონის შესანარჩუნებლად, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ. შემდეგ მცხეთის რაიონის სპორტკომიტეტმა თხოვნით მიმართა მცხეთის საქალაქო საბჭოს აღმასკომს (ზაჰესი მცხეთის საქალაქო ტერიტორიაში შედის) გამოეყო მიწის ნაკვეთი სამაგიერო მოედნის მოსაწყობად. ახალი ადგილი მართლაც გამოუყვეს სტადიონის მშენებლობისათვის. შესრულდა დიდძალი მიწის სამუშაოები. ის იყო გამოიკვეთა კიდეც მოედნის კონტურები, რომ ერთ მშვენიერ დღეს აქაც გაჩნდნენ ფართობის „დამტაცებლები“ და სათბურის მშენებლობა დაიწყეს. ზაჰესელები სასათბურე ნაგებობას ხომ არ დაანგრევდნენ, ადგნენ და ისევ საქმთავარენერგოს სთხოვეს დახმარება. ამ ორგანიზაციამ თავის მხრივ მცხეთის საქალაქო საბჭოს აღმასკომს მიმართა თხოვნით ნგრევაში მოყოლილი სტადიონის სანაცვლოდ გამოეყოთ მიწის ნაკვეთი. და აი აღმასკომის 1984 წლის 25 დეკემბრის გადაწყვეტილებაც: „გამოეყოს—საქმთავარენერგოს სამრეწველო სარემონტო საწარმოს, ზაჰესის დასახლების ტერიტორიაზე სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსის ასაშენებლად 1,6 ჰექტარი მიწის ფართობი...“ (მითითებულია საზღვრებიც).



სტადიონისთვის პირველად გამოყოფილ ადგილზე ამჟამად სათბურებია.

საქმე ახლაც დაიძრა, დამუშავდა პროექტები სპორტული კომპლექსისათვის. კომპლექსი კი ფეხბურთის მინდვრის გარდა კალათბურთის და ხელბურთის მოედნების მოწყობასაც ითვალისწინებს. მაგრამ მშენებლობის დაწყება რატომღაც ჭიანურდება. ამასობაში კვლავ გამოჩნდნენ ახალი მოძალადეები — სპორტული კომპლექსისათვის გამოყოფილ მიწის ნაკვეთზე მშენებლობა დაიწყო... ახლად ჩამოყალიბებულმა მცხეთის სამეურნეობათაშორისო საამშენებლო ორგანიზაციამ. რის საფუძველზე? ზემოხსენებულ ორგანიზაციას ხელთ აქვს მცხეთის საქალაქო საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილება, რომელიც მიღებულია 1985 წლის 25 ივნისს. არ გაგიკვირდეთ და... ამ გადაწყვეტილებაში ის ტერიტორია, რომელიც იგივე საქალაქო საბჭომ 6 თვის წინათ სპორტკომპლექსის მოსაწყობად დაამტკიცა, ახლა სამეურნეობათაშორისო საამშენებლო ორგანიზაციას ადმინისტრაციული შენობის ასაგებად და საქმიანი ეზოს მოსაწყობად გამოუყო. (საზღვრებიც და ფართობიც იგივეა მითითებული), განსხვავება მხოლოდ



ეს ის ადგილია, სადაც სპორტული კომპლექსი უნდა აშენებულიყო.

ისაა, რომ აღმასკომის გადაწყვეტილებას ახლა სხვა თავმჯდომარე აწერს ხელს (კ. უნდილაშვილი). „საქმთავარენერგოს“ ზაჰესის ქარხნის ხელმძღვანელობა კვლავ ჩაერია საქმეში — ისევ აღმასკომს მიმართეს — ამჯერად მის მესამე თავმჯდომარეს ო. მარტოლეკს.

**ამონაწერი ქარხნის დირექტორის ვ. ოყროშიძის აღმასკომში გაგზავნილი წერილიდან:** „თქვენი გადაწყვეტილების თანახმად გამოგვეყო მიწის ნაკვეთი სპორტული მოედნების მშენებლობისათვის, ამ გადაწყვეტილების შესაბამისად ქალაქის მთავარ არქიტექტორთან არსებულმა საწარმოო ჯგუფმა დაამუშავა პროექტი და ხარჯთაღრიცხვა, მაგრამ გამოყოფილ ტერიტორიაზე ახლად ჩამოყალიბებულმა მცხეთის სამეურნეობათაშორისო ორგანიზაციამ დაიწყო თავისი ადმინისტრაციული სახლის მშენებლობა, რაზედაც მათ რაიმე ნებართვა არ გააჩნიათ. თქვენი განკარგულებით გააფრთხილეს ურჩი მშენებლები, მაგრამ ამით არაფერი შეიცვალა. გთხოვთ დაგვეხმაროთ საკითხის საბოლოო გადაწყვეტაში“.

ამ მოთხოვნის საფუძველზე მცხეთის აღმასკომი სამეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციას, მცხეთის შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების უფროსს და ზაჰესის სამრეწველო სარემონტო ქარხნის ხელმძღვანელებს უგზავნის შესაბამის წერილებს.

**ამონაწერი აღმასკომის წერილიდან:** „შემოწმებით დადგინდა, რომ მცხეთის სამეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციას ადმინისტრაციული ნაგებობების მშენებლობის თაობაზე მცხეთის საქალაქო საბჭოს აღმასკომში არა გაქვთ წარმოდგენილი შესათანხმებლად და დასამტკიცებლად მშენებლობის ტექნიკური დოკუმენტაცია, რაც მოქმედი კანონის უხეში დარღვევაა. გევალებათ შეწყვიტოთ ყოველგვარი მშენებლობა სათანადო დოკუმენტაციის წარმოდგენამდე“

ამ მომენტში მშენებლობა უკვე სანახევროდ იყო დამთავრებული და ნაგებობას აღარავინ დაანგრევდა, მაგრამ როგორ არ ვიკითხოთ: ხომ შეიძლებოდა გაუგებრობები დროულად აეცილებინათ თავიდან?

ასე რომ, იმ სპორტული კომპლექსის პროექტები კვლავ ჰაერში არის გამოკიდებული. აი, სადამდე მიიყვანა საქმე „საქმთავარენერგოს“ სარემონტო ქარხნის ხელმძღვანელობის მიერ თავდაპირველმა დაუდევრობამ. ძველი სპორტული ბაზა ახლის აგებამდე რატომ გააუქმეს? სხვათა შორის, ამ ქარხანაში ფიზკულტურის ხელფასიანი მეთოდისტიც „მუშაობს“, კოლექტივში კი არავითარი ფიზკულტურულ-სპორტული ღონისძიებები არ ტარდება. მაშ რაში აძლევენ ხელფასს მეთოდისტს?

ოლეგ გველესიანი,
(„ლელოს“ სპეც. კორ.).

**P.S. რედაქცია სვამს რამდენიმე კითხვას:**

1. თავიდანვე რატომ გადაწყვიტეს ზედ სტადიონთან აეშენებინათ ადმინისტრაციული კორპუსი?
2. სტადიონისთვის გამოყოფილ ადგილზე რატომ ჩაიდგა სათბურები?
3. მცხეთის საქალაქო საბჭოს აღმასკომმა, სპორტული კომპლექსისთვის უკვე გაცემული ტერიტორია, ძველის გაუუქმებლად ახალი გადაწყვეტილებით რატომ გამოუყო სხვა ორგანიზაციას?
4. ექვსი თვის განმავლობაში რატომ არ დაიწყეს სპორტული კომპლექსის მშენებლობა?
5. რა ზომები მიიღო მილიციის განყოფილებამ აღმასკომიდან შეტყობინების მიღების შემდეგ ამ ტერიტორიაზე სათანადო დოკუმენტაციის გარეშე წამოწყებული სამუშაოების შესაჩერებლად?
6. რა ბედი ელის სპორტული კომპლექსის განუხორციელებელ პროექტს?
7. რატომ არის თვითნებაზე მიჩვეული ქარხნის მშრომელებთან და მოსახლეობასთან ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი და სპორტული მუშაობა?

პასუხს ზემოხსენებული ორგანიზაციებიდან ველით.



ეს ზაჰესის ყოფილი სტადიონია.



სტადიონის მინდორი კი ასეთი იყო.

ვუბრუნდებით დაბეჭდილს

## „შეჯიბრებამაც უიმედოდ დაგვტოვა“

თქვენს გაზეთში გამოქვეყნებული კრიტიკული წერილის („შეჯიბრებამაც უიმედოდ დაგვტოვა“) პასუხად გაცნობებთ, რომ ქალთა მძლეოსნობა, კერძოდ, საშუალო და გრძელ მანძილებზე რბენა, ჩვენში დიდი ხანია ჩამორჩენილ სახეობებად ითვლება. მაგალითად, გასულ, IX საკავშირო სპარტაკიადაში მონაწილე ჩვენს 40-კაციან გუნდში მხოლოდ 7 იყო ქალი და არც ერთი მათგანი საშუალო და გრძელ მანძილზე რბენაში არ გამოსულა.

ჩამორჩენის მიზეზი მრავალია: მწვრთნელთა კადრების ნაკლებობა, მასობრიობის არასაკმარისი დონე, უხარისხო მუშაობა სპორტსაზოგადოებებში და საშუალო სკოლებში (მშდ ნორმატივების დასანერგად), უმაღლეს სასწავლებლებში, ტექნიკუმებში და ა. შ. ამასთან საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ბევრი გოგონა ანებებს თავს სპორტში ვარჯიშს. საერთოდ, მძლეოსნობა გოგონებში არაპოპულარულ სახეობად ითვლება.

დიახ, ფონი მეტად არახელსაყრელია, მაგრამ საქართველოს სპორტსახკომის მძლეოსნობის სამმართველომ უკვე დაიწყო რადიკალური ღონისძიებების გატარება მდგომარეობის გამოსასწორებლად. შემუშავებულია ახალი დებულებები გოგონათა და საერთოდ ახალგაზრდების მძლეოსნობაში ჩასაბმელად. ამასვე ემსახურება მასობრივი შეჯიბრებები „ტელევიზიის თასზე“, საქართველოს „მძლეოსნობის ფედერაციის თასზე“, რესპუბლიკის ჩემპიონატი გზატკეცილზე რბენაში (წელს პირველად ტარდება) და ა. შ.

„მძლეოსნობის ფედერაციის თასზე“ გამართული შეჯიბრებების საწყის ეტაპებზე, რომელიც სხვადასხვა რეგიონებში უნდა ჩატარდეს, განზრახულია სპეციალისტთა დიდი ჯგუფის მივლინება პერსპექტიულ სპორტსმენთა შესარჩევად და მათ მოსაზიდად მძლეოსნობის ჯგუფებში სავარჯიშოდ. ნაწილი ამ ახალგაზრდებისა სპორტულ სკოლა-ინტერნატში და მძლეოსნობის სხვა ცენტრებში ჩაირიცხება.

მწვრთნელთა გაფართოებულ სხდომაზე ბევრი კრიტიკული შენიშვნა გამოითქვა საშუალო და გრძელ მანძილზე რბენის სპეციალისტთა გასაგონად. დაინიშნენ უფროსი მწვრთნელები ამ სახეობებში სპორტსმენთა მოსამზადებლად. მოზრდილებს უხელმძღვანელებს ვიტალი ქადეიშვილი, რეზერვს — ავთანდილ ბერიძე. სპორტული სკოლების დირექტორებს დაევალათ გამოყონ სპეციალისტები, რომლებიც საშუალო და გრძელ მანძილზე რბენის განვითარებაზე, შეჯიბრებათა კალენდრის გამრავალფეროვნებაზე (კროსები, გადარბენები და სხვა) იზრუნებენ, აგრეთვე უნდა შექმნან მორბენალთა შედეგების ზრდის მაჩვენებელი კართოთეკები, მძლეოსნობის სამმართველოსთან შეთანხმებით, სკოლების მწვრთნელები გაიგზავნებიან კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებზე.

ამჟამად საქართველოს სპორტსახკომის მძლეოსნობის სამმართველო მუშაობს ამ სახეობის შემდგომი განვითარების დადგენილების პროექტზე, პროექტს მალე სადირექტივო ორგანოებში წარვადგენთ დასამტკიცებლად.

ტარიელ ბახტაძე,
საქართველოს სპორტსახკომის მძლეოსნობის სამმართველოს უფროსი.

## უკაცრავად, შეგახსენებთ!

რუბრიკით „ლახტის წრეში“ მიმდინარე წლის 19 თებერვალს გამოვაქვეყნეთ კრიტიკული წერილი იმის შესახებ, რომ წყალბურთში ჭაბუკთა II რესპუბლიკური თამაშების პროგრამით გათვალისწინებულ შეჯიბრებაზე უტაქტოდ იქცეოდნენ მწვრთნელები ქ. კაზიევი (ქუთაისი), თ. ლორთქიფანიძე და ზ. მასხულია (ორივე — თბილისი). როგორ შეაფასეს შესაბამისმა ორგანიზაციებმა ბავშვებთან მომუშავე ამ აღსაზრდელების არაპედაგოგიური საქციელი?

პასუხი ამ კითხვაზე დღემდე არ გამოუგზავნიათ ქუთაისის განათლების განყოფილებას, თბილისის განათლების სამმართველოს, „ბურევესტნიკის“ რესპუბლიკურ საბჭოსა და საქართველოს სპორტსახკომის წყალთა სახეობების განყოფილებას.

# სსრ კავშირის XXIV ჩემპიონატი რეგბიში

წელს რეგბისტთა საკავშირო ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში გამოდის 12 კოლექტივი: ალმა-ათის ასკ, კიევის „ავიატორი", ქუთაისის „მშენებელი", ტირასპოლის „ელექტრომაში", თბილისის „შევარდენი", თბილისის „ლოკომოტივი", მონინოს სსა, მოსკოვის „სლავა", მოსკოვის „ფილი", მოსკოვის „ლოკომოტივი", კრასნოიარსკის ეტს და ლენინგრადის „პრიმორიეცი". შეჯიბრება ორ ეტაპად ჩატარდება: 6 აგვისტომდე გუნდები ერთმანეთს ორ-ორჯერ (შინ და სტუმრად) შეხვდებიან,, შემდეგ კი ორ ექვსეულად გაიყოფიან. 18 აგვისტოდან 14 ოქტომბრამდე, ისევ ორ წრედ, პირველი ექვსეულის გუნდები საპრიზო ადგილებისათვის, მეორე ექვსეულისა კი უმაღლეს ლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად იბრძოლებენ. XI-XII ადგილებზე გასული გუნდები უმაღლეს ლიგას გამოეთხოვებიან, X ადგილზე გასული გუნდი კი I ლიგაში გამარჯვებულს ორ გადასასვლელ მატჩში შეხვდება. 1988 წლიდან უმაღლეს ლიგაში 10 გუნდი დარჩება.

## საქართველოს გუნდების განცხადებები

## ქუთაისის „მშენებელი"

**საკავშირო ჩემპიონატების ვერცხლისა (1984 წელს) და ბრინჯაოს (1985) პრიზიორი, საქართველოს ხუთგზის (1969, 1978, 1982, 1983-84, 1984-85 წლებში) ჩემპიონი.**

ქუთაისში რეგბისტთა პირველი გუნდი შეიქმნა 1966 წელს. 1975 წლამდე იგი გამოდიოდა „დინამოსა" და „ლოკომოტივის" სახელით. შემდეგ, 1985 წლამდე, გუნდს ერქვა „სახლმშენი". საკავშირო ჩემპიონატებში მონაწილეობს 1977 წლიდან. 1977 წელს გუნდმა XVI ადგილი დაიკავა. 1978 წელს — IX, 1979 — IX, 1980 — VII, 1981 — VII, 1982 — V, 1983 — VI, 1984 — II, 1985—III, 1986 — VIII. 1977-1981 წლებში გუნდს წვრთნიდნენ შალვა ქურციკიძე და დუგლას კავთელაშვილი, 1982-1985 წლებში — შალვა ქურციკიძე, 1986 წელს — დუგლას კავთელაშვილი.

**გუნდის უფროსია** ალიოშა ალავიძე, **უფროსი მწვრთნელი** — დუგლას კავთელაშვილი, **მწვრთნელი** — ოლეგ ლიპარტელიანი, **მწვრთნელი ფიზმომზადებაში** — ალექსანდრე ალექსეევი, **ექიმი** — მერაბ გაბიძაშვილი, **მასაჟისტი** — თემურ მინდიაშვილი, **ადმინისტრატორი** — ანზორ ალხაზაშვილი.

**მცველი** № 15: ნუგზარ ძაგნიძე (20 წლის), ოლეგ ჟორჟოლიანი (27); **სამეოთხედელები.** №№ 14-11; ბართლომე ხამაშურიძე (33), გელა ხუჭუა (24), იგორ მარიამიძე (24), კახა გაბრიჩიძე (21), პაატა ძოწენიძე (18); №№ 13-12: ოლეგ ლიპარტელიანი (32), მიხეილ ხარშილაძე (33), თამაზ გიორგობიანი (27), ემზარ გეგუჩაძე (21);

**ნახევარმცველები.** № 10: ავთანდილ გიორგაძე (35), ავთანდილ დეისაძე (24), დიმიტრი თედოშვილი (21); № 9: მამუკა ლოსაბერიძე (21), კახა მაჩიტიძე (18);

**თავდამსხმელები.** №№ 1-3: რობერტ ობოლაძე (35), ბესარიონ ლილუაშვილი (33), ავთანდილ პაპუაშვილი (17), ალექსანდრე გაბიძაშვილი (24); № 2: თენგიზ ტურძელაძე (27), ტარიელ ჯინჭველაძე (18); №№ 4-5: ალექსანდრე გრიგალავა (29), გია წივწივაძე (29), გრიგოლ გაბუნია (28), მამუკა ჭიჭაბერიძე (18), დათო ცხვარაძე (23); №№ 6-7: ბადრი შვანგირაძე (25), თამაზ ოდიშარია (23), ზაზა თხელიძე (20), თამაზ ფხაკაძე (21), ნიკოლოზ ნემსიწვერიძე (24); № 8: ალექსანდრე ნაჭყებია (34), დავით დანგაძე (25), გოჩა ჯიმშელეიშვილი (21).

უმაღლესი ლიგის სხვა გუნდებთან პირად შეხვედრებში „მშენებელს" ასეთი ბალანსი აქვს:

| | თ. | მ. | ფ. | წ. | გ. | ჩ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| სამხედრო საჰაერო აკადემია | 24 | 3 | 5 | 16 | 0 | 9 |
| „სლავა" (მოსკოვი) | 24 | 8 | 2 | 14 | 1 | 7 |
| „ფილი" (მოსკოვი) | 24 | 11 | 0 | 13 | 2 | 6 |
| ასკ (ალმა-ათა) | 11 | 4 | 2 | 5 | 7 | 1 |
| „ავიატორი" (კიევი) | 24 | 7 | 1 | 16 | 2 | 6 |
| „ლოკომოტივი" (მოსკოვი) | 24 | 14 | 0 | 10 | 3 | 5 |
| ეტს (კრასნოიარსკი) | 19 | 11 | 0 | 8 | 6 | 3 |
| „პრიმორიეცი" (ლენინგრადი) | 16 | 13 | 0 | 3 | 7 | 1 |
| „ელექტრომაში" (ტირასპოლი) | 1 | 1 | 0 | 0 | 1 | 0 |
| „შევარდენი" (თბილისი) | 1 | 1 | 0 | 0 | 2 | 0 |
| „ლოკომოტივი" (თბილისი) | 12 | 4 | 3 | 5 | 5 | 3 |

შენიშვნა: „გ" სვეტში ნაჩვენებია, რამდენჯერ გაუსწრო გუნდმა თავის მეტოქეს სატურნირო ცხრილში, ხოლო „ჩ" სვეტში — რამდენჯერ ჩამორჩა.

**შეხვედრათა განრიგი:**
22.03. სსა (შინ), 25.03. „ფილი" (შ), 30.03. „პრიმორეცი (შ.), 1.04. ეტს (შ), 8.04. „ლოკომოტივი" (მ., შ), 11.04. „სლავა" (შ); 12.05. „ელექტრომაში" (შ), 16.05. „შევარდენი" (სტუმრად), 22.05. ასკ (შ), 26.05. „ავიატორი" (სტ), 31.05. „ლოკომოტივი" (თბ., შ), 6.06. სსა (სტ), 9.06. „ფილი" (სტ), 18.06. „პრიმორეცი" (სტ); 3.07. ეტს (სტ), 8.07, „ლოკომოტივი" (მ., სტ), 12.07. „სლავა" (სტ), 19.07. „ელექტრომაში" (სტ) 23.07. „შევარდენი" (შ), 27.07. „ავიატორი" (შ), 1.08. ასკ (სტ). 6.08. „ლოკომოტივი" (თბ., სტ).



## თბილისის „ლოკომოტივი"

**საკავშირო ჩემპიონატების ოთხგზის (1968, 1972, 1978, 1981) ბრინჯაოს პრიზიორი, 1978 წლის საკავშირო თასის მფლობელი, 1976 წლის თასის გათამაშების ფინალისტი, საქართველოს სამგზის (1968, 1972, 1977) ჩემპიონი.**

გუნდი შეიქმნა 1964 წლის ბოლოს. „ლოკომოტივი" ერთადერთი გუნდია საბჭოთა რეგბიში, რომელიც ომისშემდგომი პირველი ჩემპიონატიდან (1966) დაწყებული უმაღლესი ლიგის ბინადარია. 1966 წელს გუნდმა დაიკავა VI ადგილი, 1968 წელს — III, 1969 — VI 1970 — IV, 1971 — V, 1972 — III, 1973 — VI. 1974 — VIII, 1975— VIII, 1976 — VIII, 1977 — V, 1978 — III, 1979 — IV, 1980 — IV, 1981 — III, 1982 — X, 1983 — VIII, 1984 — XII, 1985 —XII, 1986 — XII. გუნდს წვრთნიდნენ გოგი ტონია (1964-1967, 1971-1973), ნოდარ ყიფიანი (1968-1970, 1974-1975), ზურაბ ხარშილაძე (1974, 1982-1984), თემურ ბენდიაშვილი (1976-1980, 1982-1986), დავით კილასონია (1981, 1986).

**გუნდის უფროსია** მურად თოფურიძე; **უფროსი მწვრთნელი**— თამაზ მგელაძე; **მწვრთნელები:** ნიაზ მამრიკიშვილი, მერაბ ანთაძე; **მწვრთნელი ფიზმომზადებაში** — ლექსო ბურნაძე; **ადმინისტრატორი** — კოკა ლაზიშვილი.

**მცველი** № 15: დათო ღუდუშაური (23), ირაკლი ლეჟავა (18), გიორგი ძაგანელი (18);

**სამეოთხედელები.** №№ 14-11: თემურ ნარიმანიძე (18), გია მეტრეველი (21), ალეკო ხვედელიძე (22), ვალერი მანთიძე (31), ნუკრი ცვედელიძე (24), №№ 13-12: თემურ შერაზადიშვილი (30), მერაბ მარჯანიშვილი (19), ლევან ჩიქვინიძე (18), კოკა კლდიაშვილი (21);

**ნახევარმცველები.** № 10: მალხაზ ჭეიშვილი (28), ვახტანგ ლეჟავა (20), მურად შეყლაშვილი (24), გელა ვალიშვილი (28), თენგიზ თავაძე (26); № 9: ნუგზარ გაბრიჩიძე (24), მიხეილ ხარატი (22);

**თავდამსხმელები.** №№ 1-3: ოთარ ჯინჭარაძე (28), ლაშა ჩიქვინიძე (24), დათო შუბითიძე (25), ვალერი გიორგობიანი (27), ნუგზარ ტყაბლაძე (27), დათო გიორგაძე (22), კახა გიუნაშვილი (19); № 2: დათო კაკაბაძე (28), ზაზა ბაკურაძე (27); №№ 4-5: ხვიჩა კაშია (24), ბადრი მექვაბიშვილი (24), თამაზ ხუადე (22), ნუგზარ ხარშილაძე (26); №№ 6-7: ვოვა პეტუხოვი (32), მევლუდ ბებიაშვილი (28), ჯემალ ბასილაშვილი (26), ლევან მგელაძე (28), თემურ ქერტყოევი (24); № 8: გია გიუნაშვილი (22), გაიოზ მონიავა (31).

„ლოკომოტივის" პირად შეხვედრათა ბალანსი უმაღლესი ლიგის სხვა გუნდებთან:

| | თ. | მ. | ფ. | წ. | გ. | ჩ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| სამხედრო საჰაერო აკადემია | 33 | 7 | 2 | 24 | 2 | 17 |
| „სლავა" (მოსკოვი) | 24 | 8 | 2 | 14 | 2 | 10 |
| „ფილი" (მოსკოვი) | 34 | 10 | 5 | 19 | 2 | 16 |
| ასკ (ალმა-ათა) | 5 | 2 | 0 | 3 | 2 | 3 |
| „ავიატორი" (კიევი) | 32 | 10 | 5 | 17 | 3 | 13 |
| „ლოკომოტივი" (მოსკოვი) | 27 | 10 | 5 | 12 | 4 | 9 |
| ეტს (კრასნოიარსკი) | 13 | 8 | 1 | 4 | 6 | 4 |
| „მშენებელი" (ქუთაისი ) | 12 | 5 | 3 | 4 | 3 | 5 |
| „პრიმორიეცი" (ლენინგრადი) | 25 | 12 | 1 | 12 | 8 | 9 |
| „ელექტრომაში" (ტირასპოლი) | 1 | 1 | 0 | 0 | 1 | 2 |
| „შევარდენი" (თბილისი) | 1 | 1 | 0 | 0 | 3 | 1 |

**შეხვედრათა განრიგი:**
22.03. „ფილი" (შ), 25.03. სსა (შ), 29.03. ეტს (შ), 2.04. „პრიმორეცი" (შ), 8.04. „სლავა" (შ), 11.04. „ლოკომოტივი" (მ., შ); 12.05. ასკ (სტ), 17.05, „ელექტრომაში" (შ), 22.05. „ავიატორი" (სტ), 27.05. „შევარდენი" (შ), 31.05. „მშენებელი" (სტ), 4.06. „ფილი" (სტ), 8.06. სსა (სტ); 19.06. ეტს (სტ); 3.07. „პრიმორეცი" (სტ), 6.07. „სლავა" (სტ), 10.07. „ლოკომოტივი" (მ., სტ), 19.07. ასკ (შ), 22.07. „ელექტრომაში" (სტ), 27.07. „შევარდენი" სტ), 31.07. „ავიატორი" (შ), 6.08. „მშენებელი" (შ).

## თბილისის „შევარდენი"

**„შევარდენის" წინამორბედი — ნორჩ რეგბისტა გუნდი „ივერია" 1975 წლის მიწურულს შეიქმნა. გუნდი გამოდიოდა მინი-რეგბის შეჯიბრებებში და ჭაბუკთა პირველობებში.**

საკავშირო ჩემპიონატში „შევარდენი" 1980 წლიდან მონაწილეობს. 1980 წელს გუნდმა XIV ადგილი დაიკავა, 1981 — XV, 1982 — XIII, 1983 — XXII, 1984 — XIX, 1985 — XIV, 1986 — XI. 1980-1986 წლებში გუნდს წვრთნიდა რამაზ სანებლიძე.

**გუნდის უფროსია** რომეო ღვინიაშვილი, **უფროსი მწვრთნელი** რამაზ სანებლიძე; **მწვრთნელები:** ზურაბ ლოსაბერიძე, დათო ჭაბუკიანი; **ექიმი** — კოტე კილაძე; **ადმინისტრატორი** — თამაზ პაიჭაძე.

**მცველი** № 15: ლადო გვიანიშვილი (25 წლისა), გია კურატიშვილი (29), რამაზ ბერაძე (29);

**სამეოთხედელები.** №№ 14-11: ზურაბ ალანია (19), გოგი კომახიძე (23), მალხაზ რამიშვილი (18), დათო ხაჭაპურიძე (22); №№ 13-12: ვანო საცერაძე (28), გოგა რაზმაძე (26), გიორგი ღვინიაშვილი (17), ილო მუზაშვილი (26);

**ნახევარმცველები.** № 10. მიხეილ გარუჩავა (25), მიხეილ კალანდაძე (24); ზაზა ხუჭუა (18); № 9: გიორგი ხურმავა (29), შავლეგ ჯანელიძე (17);

**თავდამსხმელები.** №№ 1-3: ავთო მაზანაშვილი (28), გია მიქაძე (34), გიორგი გოდერძიშვილი (22), მამუკა მჭედლიძე (24), მამუკა გაგნიძე (22), გელა გოგეშვილი (23); № 2: ზურაბ ელიზბარაშვილი (25), გიორგი ბერიაშვილი (26), გივი კანდელაკი (17); №№ 4-5: თემურ ალექსიძე (24), დავით კახეთელიძე (23), ალექსანდრე მარტიროსოვი (24); №№ 6-7: დავით ბიძინაშვილი (25), ტარიელ სოკუროვი (26), ზაზა ლეჟავა (22), გოჩა მაჭავარიანი (23), ირაკლი თეზელაშვილი (17); № 8: ვახო კაპანაძე (26), ბიძინა გეგიძე (29), ნუგზარ მგელაძე (18).

„შევარდენი" უმაღლეს ლიგაში გამოდიოდა 1981 წელს. მაშინ იგი ყველა მეტოქესთან დამარცხდა: სსა-თან 3:48 (0-1), „სლავასთან" 0:46 (0-1), „ფილისთან" 15:34 (0-1), ასკ-სთან 12:28 (1-3), „ავიატორთან" 3:28 (0-1), მოსკოვის „ლოკომოტივთან" 3:35 (0-1), ეტს-სთან 4:66 (0-2), „მშენებელთან" 9:19 (0-2), თბილისის „ლოკომოტივთან" 7:10 (1-3). „პრიმორეცსა" (1-2) და „ელექტრომაშს" (0-3) „შევარდენი" ამ წელს არ შეხვედრია.

შენიშვნა: ფრჩხილებში ჩასმულია „გასწრება-ჩამორჩენის" მაჩვენებელი.

**შეხვედრათა განრიგი:**
22.03. „სლავა" (შ), 26.03. „ლოკომოტივი" (მ., შ), 29.03 სსა (შ), 4.04. „ფილი" (შ), 6.04. ეტს (შ), 12.04. „პრიმორეცი" (შ); 12.05. „ავიატორი" (სტ), 16.05. „მშენებელი" (შ), 21.05. „ელექტრომაში" (სტ). 24.05. ასკ (შ), 27.05. „ლოკომოტივი" (თბ., სტ), 5.06. „სლავა" (სტ), 9.06. „ლოკომოტივი" (მ., სტ), 18.06. სსა (სტ); 3.07. „ფილი" (სტ), 8.07. ეტს (სტ), 12.07. „პრიმორეცი" (სტ), 19.07. — „ავიატორი" (შ). 23.07. „მშენებელი" (სტ), 27.07. „ლოკომოტივი" (თბ., შ), 31.07. „ელექტრომაში" (შ), 5.08. ასკ (სტ).

±: **ვეთანხმებით, არ ვეთანხმებით!**

## უნდა ვამაყობდეთ, ჩვენ კი სირცხვილით ვიწვით

**ძვირფასო რედაქცია!** წავიკითხე „ლელოს" 19 მარტის ნომერში გამოქვეყნებული კრიტიკული წერილი და ცხელ გულზე გწერთ. კარგია, რომ წლეულსაც აგრძელებთ ქართულ ფეხბურთში სიწმინდისთვის უკომპრომისო ბრძოლას. ისე კი, ერთი რამ მაოცებს: რატომ ჰგონიათ ზოგიერთებს, განსაკუთრებით გუნდის ხელმძღვანელებს და ფეხბურთელებს, რომ წესრიგის დამყარებისათვის შარშან დაწყებული ბრძოლა აღარ გაგრძელდება? ვინ უნერგავს ფეხბურთელებს იმის რწმენას, რომ ქართულ ფეხბურთში მიმდინარე გარდაქმნები უდღეურია, რომ ეს მხოლოდ კამპანიურობა იყო და კვლავ ძველებურად შეუძლიათ ითავხედონ? მათი ასეთი განწყობა ალმაშფოთებელია.

იმ დღეს, 14 მარტს, მეც ვესწრებოდი მცხეთაში გამართულ მატჩს. „არმაზი" წალენჯიხის „სქურს" მასპინძლობდა. რაც იქ მოხდა, ამაზე თქვენი გაზეთი დაწვრილებით წერდა და მე აღარ შევჩერდები, მაგრამ, როგორც ქართული ფეხბურთის გულშემატკივარმა, მინდა ვიკითხო: რა სარგებლობა მოაქვს ასეთ თამაშებს? გუნდი უნდა გვარცხვენდეს თუ სიხარულსა და სიამაყეს გვანიჭებდეს მატჩებზე მისულ მაყურებელს? შეიძლება მატჩის მსაჯს ნ. კილაძეს არც უნდა მიეცა თამაშის უფლება ჩვენი გუნდისთვის და დამარცხება ჩაეთვალა მისთვის. ვის სჭირდება ასეთი დათმობა და ლმობიერება. მერწმუნეთ, ასეთი საფეხბურთო მატჩი მხოლოდ სპორტის ანტიპროპაგანდაა, სხვა არაფერი.

**ა. ნებიერიძე,**
პენსიონერი.
მცხეთა.

## შევყუოთ? თანახმა ვარ, მაგრამ რით შევცვალოთ?

**ყველანი** იმის მომხრე ვართ, საქართველოს ფეხბურთი რომ საბოლოოდ გაჯანსაღდეს, მაგრამ მედიცინის ენით თუ ვიტყვით, სააჭისოდ ხელთ რეცეპტიც უნდა გვქონდეს. პანაცეაზე არ მოგახსენებთ, საერთოდ რაღაც ხომ უნდა ვილონოთ? ისე არ უნდა გამოვიდეს, რომ ძველის უარსაყოფად მომზადებული არ აღმოვჩნდეთ, თორემ მიზნის მიღწევა გაგვიძნელდება. იყო დრო, რესპუბლიკის პირველობაზე მონაწილე ფეხბურთელებს ხელფასს უხდიდნენ (ისინი გაფორმებული იყვნენ სხვადასხვა ორგანიზაციებში), ახლა ასე აღარ ხდება, სამაგიეროდ, რაიმე სტიმულზე საჭიროა ვიფიქროთ. ის კი არა, მცხეთის გუნდს, როგორც თქვენი გაზეთი წერდა, თურმე სათადარიგო სპორტული ფორმაც კი არ აღმოაჩნდა.

როგორ ფიქრობთ, ის თანხა საკმარისი იქნება სპორტსმენისთვის და მთლიანად გუნდისთვის, რაც მას სამივლინებოდ ეძლევა? ამის შემდეგ რატომ გვიკვირს, რომ გუნდებს ეტმასნებიან ისეთი ადამიანები, რომელთაც არავითარი კავშირი არა აქვთ ფეხბურთთან, მაგრამ შენიღბულად მეცენატების როლში გვევლინებიან? ყველაფერი შენიღბული უნდა გამოვამზეუროთ, მაგრამ ვიმეორებ, ნეგატიური მოვლენები პოზიტიურით უნდა შეიცვალოს

**ბიჭო მერაბიშვილი,**
ინჟინერი.
თბილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი წყალბურთში

# ქუდმოხდილი წყალბურთელები

დასასრული

ქართველმა წყალბურთელებმა დიდი შემართებით, მონდომებითა და ოსტატობითაც იბრძოლეს, მაგრამ იმ დღეს მათ ბედი აშკარად არ სწყალობდათ.

მოთამაშის აუზიდან გაძევება ჩვეულებრივი რამაა, მაგრამ ის, რაც ლვოველ და თბილისელ თანაკლუბელთა შეხვედრაში მოხდა, ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. მსაჯებმა წყალბურთელებს 34-ჯერ (!) დაატოვებინეს სარბიელი, აქედან 18-ჯერ — თბილისელებს. მაგრამ გაძევებაც არის და გაძევებაც. თბილისელთათვის დანაკლისი გაცილებით მტკივნეული იყო. საქმე ისაა, რომ მესამე პერიოდში სარბიელი მესამედ და ესე იგი თამაშის ბოლომდე ერთმანეთის მიყოლებით დატოვეს (შეცვლის უფლებით) უმცროსმა გიორგაძემ, კოღუაშვილმა, ზუმბულიძემ და კანდელაკმა. როცა სტუმრებმა პირველი ასეთი ზარალი განიცადეს, ანგარიში ლვოველებს მიჰყავდათ — 7:5. მანამდე, პირველ პერიოდში, თბილისელთა ორი მოთამაშე თითქმის ერთდროულად გააძევეს. სარბიელზე შვიდის წინააღმდეგ ხუთი ქართველი სპორტსმენი აღმოჩნდა. მასპინძლებს, რა თქმა უნდა, ორი ზედმეტი მოთამაშე ჰყავდათ, გოლი გაიტანეს და ანგარიში გაათანაბრეს — 2:2. მეორე პერიოდში ჩვენს კარში პენალტი დაინიშნა, რაც ასეჯე გოლის გატანით დამთავრდა და ლვოველები ერთი ბურთით დაწინაურდნენ — 6:5. ამას ისიც დაემატა, რომ ამავე პერიოდში 45 წამით ან ბურთის გატანამდე, წყლიდან თბილისელთა მეკარე გიორგაძე გააძევეს. რა თქმა უნდა, ლვოველებმა ბურთი გაიტანეს, მეორე პერიოდში მათ კიდევ ერთხელ დალაშქრეს თბილისელთა კარი.

მეორე პერიოდის დაწყებისთანავე, როგორც იტყვიან, მონასტერი აირია. თბილისელთა ოთხმა მოთამაშემ სარბიელი დატოვა და ლვოველები სამი ბურთით დაწინაურდნენ — 11:8. სხვა გუნდს იქნებ ფარ-ხმალი დაეყარა, მაგრამ თბილისელებმა შეუპოვრად იბრძოლეს. მათ ეს ნავსიანი პერიოდი ფრედ დაამთავრეს — 4:4, თუმცა, საბოლოო ანგარიშით (ორი ბურთით) წინ მაინც ლვოველები იყვნენ.

მეოთხე პერიოდში მსაჯებმა მასპინძელთა სასტარტო შვიდეულის ორი წევრი: ბერინდიუგა და პროკოპჩუკიც თამაშის ბოლომდე გააძევეს (შეცვლის უფლებით), მაგრამ თბილისელთა დანაკლისთან ეს, რა თქმა უნდა, ახლოსაც ვერ მივიდოდა. სტუმრებმა ორჯერ კარგად გამოიყენეს ზედმეტი მოთამაშე. თამაშის დამთავრებამდე 55 წამით ადრე ტაბლოზე ენთო 12:12. სწორედ ამ დროს ლვოველებს კვლავ აღმოაჩნდათ ზედმეტი მოთამაშე და გადამწყვეტი ბურთი გაიტანეს.

ამ შეხვედრაში დიდი ჯაფა დაადგათ კუტივაძეს, გვახარიას და მეკარე გიორგაძეს, რომლებმაც ძალიან კარგად ითამაშეს. თბილისელთაგან ბურთები გაიტანეს: კუტივაძემ, გვახარიამ (3-3), მაჭავარიანმა, რამიშვილმა (2-2), კანდელაკმა და ბალათურიამ. ლვოველთაგან როჟდესტვენსკიმ, სტარუსევმა (4-4), სმირნოვმა (3), პროკოპჩუკმა (2).

* * *

**გაიმართა** მესამე ტურის მატჩები ბაქოშიც. საბჭოთა კავშირის ჩემპიონმა მოსკოვის „დინამომ" დაამარცხა უმაღლესი ლიგის დებიუტანტი სევასტოპოლის კჩფ. დინამოელებმა პირველ სამ პერიოდში შესამჩნევ უპირატესობას მიაღწიეს, ამიტომაც მეოთხე პერიოდი შედარებით გულარხეინად ჩაატარეს, მაგრამ ამას საერთო შედეგზე გავლენა არ მოუხდენია 13:6 (3:1, 3:0, 3:1, 4:4).

მოსკოვის „უნივერსიტეტისა" და კიევის დინამოელთა შეხვედრაში სამი პერიოდის შემდეგ სტუდენტები მინიმალური სხვაობით იყვნენ წინ — 8:7. ყოველგვარი მოულოდნელობა თავიდან რომ აეცილებინათ, მათ ენერგიულად ჩაატარეს დასკვნითი პერიოდი და დამაჯერებელი გამარჯვებაც მოიპოვეს 13:8 (3:1, 2:2, 3:4, 5:1).

ბაქოს კკფ-მ დაამარცხა ხარკოვის „ლოკომოტივი" — 8:7 (4:1, 2:1, 2:1, 0:4).

**გუშინ თბილისის „დინამო" შეხვდა მოსკოვის „მოსკვიჩს". მატჩი დამთავრდა ფრედ — 7:7.**

### გათამაშების ცხრილები

**მდგომარეობა 21 მარტისთვის**

**ბაქოს ჯგუფი**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო" (მ.) | 9 | 8 | 1 | 0 | 96-66 | 17 |
| „უნივ." (მ.) | 9 | 7 | 0 | 2 | 86-61 | 14 |
| კკფ (ბაქო) | 9 | 4 | 0 | 5 | 84-89 | 8 |
| „ლოკ." (ხარკ.) | 9 | 2 | 1 | 6 | 57-72 | 5 |
| „დინ." (კიევი) | 9 | 2 | 0 | 7 | 73-88 | 4 |
| კჩფ (სევასტ.) | 9 | 2 | 0 | 7 | 55-72 | 4 |

**ლვოვის ჯგუფი**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინ." (ა-ათა) | 9 | 6 | 1 | 2 | 82-69 | 13 |
| „დინ." (ლვოვი) | 9 | 6 | 1 | 2 | 92-85 | 13 |
| „დინ". (თბ.) | 9 | 6 | 0 | 3 | 74-69 | 12 |
| ცსკ ვმფ | 9 | 5 | 0 | 4 | 81-71 | 10 |
| „მოსკვიჩი" | 9 | 4 | 0 | 5 | 67-70 | 8 |
| „ბალტ." (ლენ.) | 9 | 0 | 1 | 8 | 55-90 | 1 |

**გუშინ** თბილისის სახელმწიფო ცირკში გაიმართა ქართულ ჭიდაობაში სოფლებისა და ქალაქების რესპუბლიკური პირველობის პირველი მეოთხედფინალური შეხვედრები. სოფელ ხვედურეთის (ქარელი) გუნდი დამარცხდა ვაყელებთან (ხაშური) შეხვედრაში — 6:3. ქისტაურის (ახმეტა) ფალავნებმა აჯობეს წილკნელებს (მცხეთა) — 5:4.

მეორე მეოთხედფინალური შეხვედრა გაიმართება 28 მარტს. აქ მეტოქეები ასე დაწყვილდნენ: სოფელი ხოვლე (კასპი) — სოფელი მარტყოფი (გარდაბანი), ციხისუბანი (გორი) — ძველი რუსთავი (რუსთავი). იმავე დღეს ცირკის არენაზე გაიმართება პირადი პირველობის შეხვედრები. იასპარეზებენ ის ფალავნები, რომლებსაც არც ერთი შეხვედრა არ წაუგიათ, მაგრამ მათი კოლექტივები გამოეთიშნენ გუნდურ შეჯიბრებას. ეს ასპარეზობა ოლიმპიური სისტემით ჩატარდება.

ჯემალ კასრაძის ფოტო.



## საქართველოს ჩემპიონატი ჭადრაკში

# გადამწყვეტ ეტაპზე

**ქალთა** 43-ე ჩემპიონატზე დასკვნითი ორთაბრძოლები მიმდინარეობს. XIII ტურში დიდ ინტერესს იწვევდა ლიდერთა შეხვედრები.

ტერელაძემ კარგად ვერ გათვალა კომბინაცია ნ. მელაშვილთან პარტიაში და დამარცხდა.

საინტერესო იყო ქ. კახიანის შეხვედრა ოსტატ კობაიძესთან. ქეთევანმა ორ პაიკში მხედარი შესწირა მეტოქეს და უპირატესობა მიიღო, მაგრამ ერთ-ერთ მონაკვეთში შეცდა. შავებმა შეძლეს მუქარის მოგერიება და პარტია კობაიძისთვის უკეთეს პოზიციაში გადაიდო. ქ. მელაშვილმა ცაიტნოტში მძიმე შეცდომა დაუშვა ნიკოლაძესთან შეხვედრაში და დამარცხდა. ტურის დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: ხუგაშვილი — ჩაიკოვსკაია 1:0, ლაგვილავა — თანდაშვილი 1:0. გადაიდო: გაგნიაშვილ — ხუციშვილის, ლანჩავა — ალიხანაშვილის, მახარაძე — სადუნიშვილის პარტიები.

ამრიგად, XIII ტურის შემდეგ ლიდერთა ჯგუფში არიან: ქეთევან კახიანი — 8 (3; 13 შეხვედრიდან), ნინო მელაშვილი — 8 (2; 12-დან), ქეთევან მელაშვილი — 7,5 (12-დან), თამარ ხუგაშვილი — 7 (3; 12-დან), ჰენრიეტა ლაგვილავა — 7 (3; 12-დან), ციალა ქასოშვილი 7 (1; 12-დან), ციური კობაიძე — 6 (3; 12-დან).

**ვასილ ვაშაკიძე,**
ოსტატობის კანდიდატი.

# სპორტის სასახლეში

**იწყება** სსრ კავშირის უმაღლესი ლიგის ხელბურთელ ვაჟთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მეორე წრის III ტური.

გთავაზობთ თამაშების კალენდარს:

**22 მარტი, კვირა**

12.00 ს., ტირასპოლის გუნდი — სკიფ-ი.
13.30, ასკ (მნ.) — „პოლიოტი"
15.00, მაი — „ბურევესტნიკი"

**23 მარტი, ორშაბათი**

16.30, სკიფ-ი — „პოლიოტი"
18.00, ტირასპოლის გუნდი — მაი
19.30, „ბურევესტნიკი" — ასკ(მნ.).

**24 მარტი, სამშაბათი**

16.30, მაი — სკიფ-ი.
18.00, ასკ (მნ.) — ტირასპოლის გუნდი
19.30, „პოლიოტი" — „ბურევესტნიკი".

**25 მარტი, ოთხშაბათი, თამაშებისაგან თავისუფალი დღე**

**26 მარტი, ხუთშაბათი**

16.30, ტირასპოლის გუნდი — „პოლიოტი"
19.30, სკიფ-ი — „ბურევესტნიკი"

**27 მარტი, პარასკევი**

16.30, ასკ (მნ.) — სკიფ-ი
18.00, „პოლიოტი" — მაი
19.30, „ბურევესტნიკი" — ტირასპოლის გუნდი

გადავხედოთ გუნდების მდგომარეობას თბილისის ტურის წინ:

1. ცსკა — 18 ქულა
2. მაი (მოსკოვი) — 18
3. „პოლიოტი" (ჩელიაბინსკი) — 16
4. ასკ (მინსკი) — 15
5. „ზარია" (ასტრახანი) — 12
6. სკიფ-ი (კრასნოდარი) — 10
7. ზიი (ზაპოროჟიე) — 10
8. ასკ (კიევი) — 10
9. „გრანიტასი" (კაუნასი) — 8
10. ტირასპოლის გუნდი — 7
11. „ნევა" (ლენინგრადი) — 6
12. „ბურევესტნიკი" (თბილისი) — 2

დავძენთ, რომ მომდევნო, IV ტური 12 გუნდის მონაწილეობით ლენინგრადში გაიმართება, რის შემდეგ გუნდები კვლავ დაიყოფიან ორ ჯგუფად (6-6 კოლექტივი) საბოლოო ადგილების გასათამაშებლად. ერთ-ერთი ასეთი ჯგუფის თამაშები კვლავ თბილისში ჩატარდება.

## სპორტულ გაზეებზე

**რაგბი.** 22 მარტი. **საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი.** თბილისის „ლოკომოტივის" სტადიონი. **„შევარდენი" (თბილისი) — „სლავა" (მოსკოვი).** დასაწყისი 15 საათზე. **„ლოკომოტივი" (თბილისი) — „ფილი" (მოსკოვი).** დასაწყისი 17 ს.

## „ოქროს ბურთის" ლაურეატები

# პაოლო როსი



**1980 წლის** აპრილში იტალიური „გაძეტა დელო სპორტი" თავის ერთ-ერთ ნომერში წერდა: „იტალიის საუკეთესო თავდამსხმელი, 23 წლის პაოლო როსი გულისგამაწვრილებელ მოლოდინშია: მიიღებს იგი მონაწილეობას ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ტურნირში თუ არა? იმ დღეებში ეს კითხვა აღელვებდა არა მარტო როსის და „სკუადრა აძურას" მწვრთნელს ენცო ბეარზოტს, არამედ მთელს იტალიას, რადგან ევროპის VI ჩემპიონატის დასკვნითი ეტაპი სწორედ ამ ქვეყანაში უნდა ჩატარებულიყო და მასპინძელთა ნაკრები ტურნირის ერთ-ერთ ფავორიტად ითვლებოდა, მაგრამ მოხდა ისე, რომ აპენინის ნახევარკუნძულზე „ძველი სამყაროს" საფეხბურთო ელიტის წარმომადგენელთა ამ დიდი ფორუმისთვის მზადებისადმი საზოგადოებრიობის ინტერესმა მეორე პლანზე გადაინაცვლა და ყურადღების ცენტრში „კალჩოს" ისტორიაში მომხდარი უდიდესი სკანდალი აღმოჩნდა. მაშინ არაერთი ფეხბურთელი, მწვრთნელი, კლუბის პრეზიდენტი, სულ ორმოცამდე კაცი დაისაჯა — მათ სხვადასხვა ვადით მიეცათ დისკვალიფიკაცია, გარდა ამისა, ორი გუნდი „ა" სერიიდან გაირიცხა.

ამ სანქციების შედეგად დაზარალდა პაოლო როსიც, რომელიც ჯიუტად ამტკიცებდა: „ვაგრძელებ ვარჯიშს. დარწმუნებული ვარ, ყველა ეჭვი გაქარწყლდება, გავმართლდები და ევროპის ჩემპიონატში მონაწილეობის მიღებას შევძლებ". მაგრამ როსი მაინც დისკვალიფიცირებულთა სიაში აღმოჩნდა. მაშინ იგი „პერუჯას" ღირსებას იცავდა...

...პაოლო როსი მინდორს 1982 წლის მაისში დაუბრუნდა. ამჯერად იგი ტურინის „იუვენტუსის" შავთეთრ ზოლებიან მაისურში მოგვევლინა. მიუხედავად იმისა, რომ მან ეროვნული ჩემპიონატის მხოლოდ სამ შეხვედრაში მოასწრო მონაწილეობის მიღება, იტალიის ნაკრების მწვრთნელმა ენცო ბეარზოტმა იგი გუნდში დააბრუნა და როსი XII მსოფლიო ჩემპიონატზე გაემგზავრა.

ესპანეთის სტადიონებზე „სკუადრა აძურამ" ბრწყინვალედ ითამაშა, ყველა მეტოქე უკან ჩამოიტოვა და მსოფლიო ჩემპიონის ტიტული მოიპოვა. გუნდისა და საერთოდ ჩემპიონატის მშვენება და ერთგვარი სიურპრიზი პაოლო როსის ეფექტური, შედეგიანი თამაში იყო. გულშემატკივრებს ემახსოვრებათ: მეოთხედფინალური ქვეჯგუფის გადამწყვეტ მატჩში როსიმ სამჯერ აიღო ბრაზილიის ნაკრების კარი და თავის გუნდს ძნელი, მაგრამ დამსახურებული გამარჯვება (3:2) და ნახევარფინალის საგზური მოუტანა. ამ ეტაპზე მან პოლონელთა კარში ორი გოლი გაიტანა (2:0) და იტალიელები ფინალში გავიდნენ. დასავლეთგერმანელებთან გადამწყვეტ შეხვედრაში როსიმ ანგარიში გახსნა და გუნდი გამარჯვებისთვის განაწყო — 3:1. სულ პაოლო როსიმ ჩემპიონატის მატჩებში 6 გოლი გაიტანა და ბომბარდირთა კონკურსში პირველი ადგილი დაიკავა. ამასთან, იგი ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელისთვის განკუთვნილი სპეციალური პრიზითაც დააჯილდოვეს. წლის ბოლოს პაოლო როსის კიდევ ერთი სიხარული ელოდა: მას გადაეცა ევროპის საუკეთესო ფეხბურთელისთვის დაწესებული „ოქროს ბურთი".

1982 წელი როსის საფეხბურთო ბიოგრაფიის უბრწყინვალესი ფურცელია. მართალია, მან 16 წლისამ (დაიბადა 1956 წლის 23 სექტემბერს პრატოში) ტურინის „იუვენტუსში" დაიწყო თამაში, მაგრამ ვიდრე მოგვიანებით ამავე კლუბის შემადგენლობაში მიაღწევდა მნიშვნელოვან წარმატებებს, სამი კლუბი გამოიცვალა.

„ა" სერიაში როსის დებიუტი შედგა 1975 წლის ნოემბერში, როცა მისი გუნდი „კომო" სტუმრად დამარცხდა „პერუჯასთან" (0:2). იმ სეზონში პაოლო მხოლოდ ექვსჯერ გამოვიდა მინდორზე. 1976-1979 წლებში როსი ვიჩენცის „ლანეროსის" ღირსებას იცავდა. პირველ სეზონში, როცა „ლანეროსი" „ბ" სერიაში გამოდიოდა, როსიმ 21 გოლი გაიტანა და დიდად შეუწყო ხელი გუნდის უძლიერესთა ლიგაში გადასვლას. პაოლოს არც აქ შეურცხვენია თავი: 30 მატჩში 24 გოლი გაიტანა და იტალიის საუკეთესო ბომბარდირი გახდა. შემდეგ ერთი სეზონი „პერუჯაში" გაატარა, შემდეგ... შემდეგ იყო დისკვალიფიკაცია, „იუვენტუსი" და მსოფლიოს თასი!

1985 წელს პაოლო როსი გამოეთხოვა „ბებერ ქალბატონს" და პოპულარულ „მილანში" გადავიდა, მაგრამ როგორც ჩანს, იქაურობას ვერ შეეგუა (20 მატჩში მხოლოდ 2 გოლი გაიტანა) და კიდევ ერთხელ, უკვე მეშვიდედ გამოიცვალა კლუბი. ახლა პაოლო როსი ვერონის „ელასის" ღირსებას იცავს. მართალია, იგი უკვე 31 წლისაა, მაგრამ ფეხბურთთან გამოთხოვებას ჯერ არ აპირებს. სავსებით შესაძლებელია, ამ მოხეტიალე ბომბარდირმა კიდევ გამოიცვალოს ადგილსამყოფელი.

**ზურაბ ფოცხვერია.**

**რედაქტორი**
**თ. გაჩეჩილაძე.**

ინდექსი 76423 საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. 380096. თბილისი, ლენინის ქ. № 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის ქ., 29. უე 06838